სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის“
რექტორს მერაბ ხალვაშს

ააიპ „აკაკი წერეთლის სახელობის
ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“
დირექტორს ინგა გოგიბერიძეს

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის
კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზას“
დირექტორს დავით გეგელაშვილს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

სექსუალური ორიენტაციის და საქმიანობის სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“
საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო მერაბ,

ქალბატონო ინგა,

ბატონო დავით,

2019 წლის მაისი-აგვისტოს პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს სამი სხვადასხვა ორგანიზაციის წინააღმდეგ მომართეს ლგბტ+ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ ლგბტ+ თემატიკაზე ღონისძიების ჩატარების მიზნით სივრცის გამოყოფაზე მოპასუხეების მიერ, ფორმალურ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, ეთქვათ უარი.

საქართველოს სახალხო დამცველს 2019 წლის 30 მაისს განცხადებით (N7149/19) მომართა (ა)აიპ „იდენტობას“ ბათუმის რესურს-ცენტრის მენეჯერმა მარიამ ქაჯაიამ (შემდგომში „პირველი განმცხადებელი“). განმცხადებელი წარმოადგენს ლგბტ+ თემის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციას, რომელსაც, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის ფარგლებში, სურდა ჩაეტარებინა ლექცია ქართულ კონტექსტში 17 მაისის კრიტიკულად გააზრების შესახებ. აღნიშნულისათვის განმცხადებელს ესაჭიროებოდა 30 მსმენელისათვის განკუთვნილი სივრცე, მაქსიმუმ საათნახევრით.

განმცხადებელი მიუთითებს სექსუალური ორიენტაციისა და საქმიანობის სფეროს ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე, ვინაიდან მას სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტმა“ *(შემდგომში „ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“/ბსუ)* და ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ“ *(შემდგომში „ბათუმის ბიბლიოთეკა“)*, სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზეზით, უარი უთხრეს საჯარო ლექციისთვის სივრცის გამოყოფაზე.

საქმის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან“ და ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკიდან“; გამოკითხა საქმესთან დაკავშირებული მესამე პირები. ასევე, 2019 წლის 19 სექტემბერს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაიმართა მხარეთა ზეპირი მოსმენა.[1] პირველი განმცხადებლის ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგენს (ა)აიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი პაატა დიასამიძე.

2019 წლის 8 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ააიპ „თბილისი პრაიდის“ დირექტორმა გიორგი თაბაგარმა (შემდგომში „მეორე განმცხადებელი“). განცხადების თანახმად, ორგანიზაცია გახდა მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზას“ *(შემდგომში „ცენტრი მუზა“)* მხრიდან სექსუალური ორიენტაციი და გენდერული იდენტობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის მსხვერპლი, ვინაიდან მასთან არ გააფორმა ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც მეორე განმცხადებელს ლგბტ+ საკითხებზე ღონისძიების გამართვის მიზნით სჭირდებოდა. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა შპს „მუზადან“; სივრცის დათვალიერების მიზნით, სახალხო დამცველის წარმომადგენელი იმყოფებოდა შპს „მუზაში“ და გაესაუბრა იქ დასაქმებულ პირს შ. მ.-ს.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან“ დაკავშირებით

განცხადების თანახმად, ა(ა)იპ „იდენტობა“, პროექტის ფარგლებში, 2019 წლის 18 მაისს გეგმავდა საჯარო ლექციის ჩატარებას სათაურით „17 მაისი - თავისუფლების ილუზია“. განმცხადებელმა 2019 წლის 23 აპრილს, სივრცის გამოყოფის თხოვნით, ელექტრონული ფოსტით მიმართა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს და კომუნიკაცია ჰქონდათ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან - გ. ს.-სთან და ლ. მ.-სთან. განმცხადებლის განმარტებით, მიმართვიდან დაახლოებით 3 კვირის შემდეგ შეატყობინეს, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სივრცეს გამოუყოფდა საჯარო ლექციის ჩასატარებლად. მოგვიანებით კი - 2019 წლის 17 მაისს, 23:00 საათზე, განმცხადებელს დაუკავშირდნენ და

[1] 2019 წლის 19 ივლისს განხორციელდა ორი (2) ზეპირი მოსმენის აუდიო-ჩაწერა, რაზეც თანხმობა ოქმში ხელმოწერით განაცხადეს მხარეებმა. ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკასთან“ აუდიო ჩანაწერის ხანგრძლივობა 58:39 წუთი; სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან“ აუდიო ჩანაწერის ხანგრძლივობა 37:06 წუთი;

უთხრეს, რომ უნივერსიტეტში დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების გამო წყდებოდა სასწავლო პროცესი და შესაბამისად, განმცხადებელიც ვერ ისარგებლებდა აუდიტორიით.

მოპასუხე მხარის - ბსუ-ს განმარტებით, 18 მაისს დაგეგმილი შეხვედრის გადადება გამოიწვია ფორსმაჟორულმა სიტუაციამ - კერძოდ, 21-ე ოთახში (რომელშიც ლექცია უნდა ჩატარებულიყო) ელექტრო ენერგიის მიწოდების შეწყვეტამ და იმ ფაქტმა, რომ აღნიშნული მოხდა შაბათ-კვირას, რის გამოც შეუძლებელი გახდა „ბსუ-ში ღონისძიების გამართვის წესის"[2] შესაბამისად შეხვედრისთვის ახალი სივრცის გამოყოფა.

ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის ელექტრიკოსისთვის 21-ე აუდიტორიაში ე. წ. „თავისუფალ სივრცეში" არსებული ტექნიკური ხარვეზის არსებობის შესახებ ცნობილი გახდა 2019 წლის 17 მაისის საღამოს, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, დაახლოებით 19:00 საათისთვის.[3] როგორც ელექტრიკოსმა ბსუ-ს განუმარტა, დაზიანება არ იყო განსაკუთრებით რთული კატეგორიის (საჭირო იყო ოთახის ინდივიდუალური ელექტროავტომატის დაზიანებული ნაწილის ან მთლიანად ელექტროავტომატის მოხსნა და მისი ახლით შეცვლა, რაც, შესაძლოა, შესაბამისი ნაწილის/ნივთის მოძიების და დამონტაჟების ჩათვლით, მაქსიმუმ 1-2 საათს გაგრძელებულიყო. უქმე დღეებისა და დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, შესაბამისმა პირმა არ ჩათვალა საჭიროდ, დაზიანების აღმოსაფხვრელად დაუყოვნებელი, გადაუდებელი მოქმედებების ჩატარება, რის გამოც, <u>21-ე აუდიტორიაში სამუშაოები ჩატარდა 2019 წლის 20 მაისს.</u>

ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსის ლ. მ.-ს განმარტებით, 2019 წლის 17 მაისს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მ. დ.-მ მას უთხრა, რომ 21-ე აუდიტორიაში ორშაბათამდე არაფერი დაეგეგმა, რადგან საჭირო იყო ელექტროენერგიასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება. ლ. მ. აღნიშნავს, რომ ამის შემდეგ მან პირადად სცადა ბსუ-ში ახალი სივრცე მოძებნა, თუმცა, უნივერსიტეტში მოქმედი „ღონისძიების გამართვის წესის" და ასევე არასამუშაო საათების გამო ალტერნატიული სივრცის მოძიება და და ბსუ-ში დადგენილი წესით განმცხადებლისთვის შეთავაზება ვერ შეძლო.

მოპასუხე მხარის განმარტებით, ბსუ-ში სულ არის 229 ოთახი, რომელთაგან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გათვალისწინებულია 116 ოთახი/აუდიტორია; დანარჩენი

---

[2] ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 25 აპრილის 01-08/24 ბრძანება - აღნიშნული წესის მე-4, მე-5 და მე-7 პუნქტების თანახმად, ღონისძიების გამართვის მსურველი წერილობითი განცხადებით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) მიმართავს ბსუ-ს რექტორს კანცელარიის მეშვეობით, რომელიც ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის უფროსის მიერ აისახება ღონისძიებათა გამართვის ელექტრონულ სისტემაში. მე-10 პუნქტის თანახმად კი, წერილობით განცხადებაზე პასუხი განმცხადებელს ბსუ-ს სამსახურების კოორდინირებული მუშაობის შედეგად ეგზავნება წერილობით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის უფროსის მიერ, ხოლო ელექტრონულად შემოსულ განცხადებაზე თანხმობის შემთხვევაში, აისახება (მოინიშნება შესაბამისი ველი „სტატუსი/თანხმობა") ღონისძიებათა გამართვის ელექტრონულ სისტემაში;

[3] ბსუ-ს ელექტრიკოსის ზ. კ.-ს 2019 წლის 8 ოქტომბერის მოხსენებითი ბარათი;

113 კი გამოიყენება უნივერსიტეტის ოპერირებისათვის (პერსონალის სამუშაო ოთახები, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, ლაბორატორიები და სხვა).

მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ განმცხადებელმა თავად განაცხადა, რომ „ქალაქში მოძებნიდა ალტერნატიულ ფართს“, სხვა <u>ალტერნატიული ფართი უნივერსიტეტს განმცხადებლისთვის არ შეუთავაზებია.</u>

1.2. ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკასთან“ დაკავშირებით

განცხადების თანახმად, მას შემდეგ, რაც სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მიერ განცხადებელს უარი ეთქვა საჯარო ლექციის ჩატარებაზე, მან მიმართა ბათუმის ბიბლიოთეკის „ამერიკული კუთხის“ კოორდინატორს მ. ს.-ს, რომელმაც თანხმობა განუცხადა 2019 წლის 18 მაისს, 17:00 საათზე, ფართის გამოყოფაზე. განმცხადებლის მითითებით, 18 მაისს, 12:00 საათზე მას დაუკავშირდნენ და უთხრეს, რომ შეხვედრაზე იბარებდა ბათუმის ბიბლიოთეკის დირექტორი ინგა გოგიბერიძე. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ პირველი განმცხადებელი - მარიამ ქაჯაია, მ. ს. და „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ წარმომადგენელი ს. ფ. განცხადების თანახმად, ინგა გოგიბერიძემ განმცხადებელს განუმარტა, რომ მ. ს.-ს არ შეუთანხმებია ლექციისთვის სივრცის დათმობის გადაწყვეტილება, რაზეც მ. ს.-მ უპასუხა, რომ მსგავს გადაწყვეტილებებს ბიბლიოთეკის დირექციასთან, როგორც წესი, არ ათანხმებს და აღნიშნული ვალდებულება არც აქვს.

განცხადების თანახმად, შეხვედრაზე ინგა გოგიბერიძემ განაცხადა *<u>„ეს ვიწრო ჯგუფი არ გვაინტერესებს და არ ვემსახურებით მათ“. გარდა ამისა, ინგა გოგიბერიძემ დაამატა რომ თუ უნივერსიტეტმა უთხრა „ამ ვიწრო ჯგუფს“, მასაც შეეძლო რემონტის მიზეზით უარის თქმა: „სინამდვილეში ხომ ვიცით უარს რატომაც იტყოდნენ, რემონტი არა ის, მეც შემიძლია რემონტი დაგისახელოთო“.</u>* განმცხადებლის ნათქვამზე, რომ საჯარო ლექციის დამსწრეთა უსაფრთხოების მიზნით ინფორმირებული იქნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროც, ინგა გოგიბერიძემ უპასუხა: „რაში მჭირდება ახლა ბიბლიოთეკასთან პოლიცია.“ აღნიშნული შინაარსის ფაქტები სახალხო დამცველის წარმომადგენელს დაუდასტურეს შეხვედრის დამსწრეებმა მ. ს.-მ და ს. ფ.-მ.[4] მოპასუხე ბათუმის ბიბლიოთეკამ კი სახალხო დამცველს განუმარტა, რომ საუბარი იყო „ვიწრო პოლიტიკურ ჯგუფზე“.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ საბოლოოდ, ბიბლიოთეკის დირექტორმა მათ განუცხადა, რომ 15:00 საათზე დაგეგმილი იყო „ამერიკული კუთხის“ სალექციო სივრცესთან ახლომდებარე ფანჯრის ჩამოხსნა და კედლის დემონტაჟი, რის გამოც სივრცე დაიხურებოდა. ინგა გოგიბერიძემ მარიამ ქაჯაია, აჭარის ტელევიზიის გადამღებ ჯგუფთან ერთად, გაიხმო სამუშაოების საჩვენებლად. მარიამ ქაჯაიას კითხვაზე, თუ როდის აპირებდნენ კედლის დემონტაჟს, ერთ-ერთმა მუშამ უპასუხა, რომ ფანჯარას ჩამოხსნიდნენ 18 მაისს, კედლის

[4] სახალხო დამცველის წარმომადგენელი 2019 წლის 18 ივლისს ესაუბრა მ. ს.-ს და ს. ფ-ს; შედგა საუბრის ოქმი;

დემონტაჟი კი 19 მაისს იგეგმებოდა. განმცხადებელი მიუთითებს, რომ ამ ფაქტს შეესწრო ჟურნალისტი თ. ხ., რომელმაც სახალხო დამცველის წარმომადგენელსაც დაუდასტურა აღნიშნული.[5]

მ. ს.-ს განმარტებით, ბიბლიოთეკის სივრცეში და, მათ შორის, „ამერიკულ კუთხეში", 2019 წლის 10 მაისიდან დაწყებული იყო სარემონტო სამუშაოები. მისთვის უცნობი იყო, როდის იგეგმებოდა ფანჯრის ჩამოხსნა და კედლის დემონტაჟი და აღნიშნულის შესახებ მხოლოდ 2019 წლის 18 მაისს შეიტყო. ამავდროულად, მ. ს.-მ განმარტა, რომ არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული შეატყობინეს, თუმცა ვერ იხსენებს როდის და სად მოხდა მისი ინფორმირება.

ბათუმის ბიბლიოთეკის „ამერიკული კუთხის" თანამშრომლის ს. ჟ.-ს განმარტებით,[6] მან 18-19 მაისს ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების შესახებ რამდენიმე დღით ადრე, ზეპირსიტყვიერად შეატყობინა მ. ს.-ს. ს. ჟ.-ს თქმით, ზოგადად, დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია აისახება საერთო კალენდარში და კოლეგები ერთმანეთს ზეპირსიტყვიერად აწვდიან ინფორმაციას. „ამერიკულ სივრცეში" ააიპ „იდენტობის" 18 მაისს დაგეგმილი საჯარო ლექციის შესახებ მისთვის ცნობილი იმავე დღის დილას გახდა.

სახალხო დამცველის წარმომადგენელი ასევე გაესაუბრა მ. ტ.-ს, რომელიც 2019 წლის 18-19 მაისს სარემონტო სამუშაოებს ატარებდა ბათუმის ბიბლიოთეკაში. მან განმარტა, რომ სარემონტო სამუშაოები შეთანხმებით ხორციელდებოდა და შაბათ-კვირას უნდა დასრულებულიყო. მისი თქმით, სამუშაოები ორ დღეს გაგრძელდებოდა და საკმაოდ მტვრიანი და ხმაურიანი პროცესი იყო. მ. ტ.-ს მითითებით, როგორც შეთანხმებული იყო, 18 მაისს, შაბათს, მუშაობა დაიწყეს შუადღეს, დაახლოებით 14:00-15:00 საათზე - ყველაფერი აალაგეს და პოლიეთილენის პარკები დააფინეს ირგვლივ. მ. ტ. აღნიშნავს, რომ კედლის დემონტაჟი სწორედ 18 მაისს მოხდა, 19 მაისს კი სამუშაო გაგრძელდა, კერძოდ, ჩასვეს ფანჯრები და კარი.

მოპასუხე მხარის განმარტებით, <u>ალტერნატიული თავისუფალი ფართი ბიბლიოთეკის სივრცეში ჰქონდათ, თუმცა, განმცხადებლისათვის არ შეუთავაზებიათ და არც განმცხადებელს დაუყენებია ეს მოთხოვნა.[7]</u>

1.3. შპს „მუზასთან" დაკავშირებით

განცხადების თანახმად, „თბილისი პრაიდს" 2019 წლის 19 ივნისს დაგეგმილი ჰქონდა ლგბტ+ თემატიკისადმი მიძღვნილი სპექტაკლის „კავკასიური მეტამორფოზას" ჩვენება, რომელიც ფრანც კაფკას „მეტამორფოზას" მოტივებზეა შექმნილი და ასახავს საქართველოში მცხოვრები ლგბტ+ თემის წევრების პრობლემებს. სპექტაკლისთვის სივრცის მოძიება ორგანიზატორებმა

---

[5] სახალხო დამცველის წარმომადგენელი 2019 წლის 18 ივლისს ესაუბრა თ. ხ.-ს; შედგა საუბრის ოქმი;

[6] სახალხო დამცველის წარმომადგენელი 2019 წლის 28 ოქტომბერს ესაუბრა მ. ს.-ს; შედგა საუბრის ოქმი;

[7] 2019 წლის 19 სექტემბერს, ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკასთან" დაკავშირებული ეპიზოდის შესახებ, ზეპირი მოსმენის ჩანაწერი, 23:48-24:15 წუთები;

ორი თვით ადრე დაიწყეს, თუმცა, რამდენიმე ორგანიზაციამ, გაურკვეველი მიზეზით, ხელშეკრულების დადებაზე უარი უთხრა. შპს „მუზას“ და ერთ-ერთი საერთაშორისო ფონდის საქართველოს წარმომადგენლობას შორის (დარბაზის დაქირავების ხარჯს ფონდი ფარავდა) 2019 წლის 15 მაისს გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება. 4 ივნისს აღნიშულმა ფონდმა „მუზას“ საბანკო ანგარიშზე გადარიცხა ქირავნობის თანხის ნაწილი - 1500 ლარი. ხელშეკრულების დადებისას ფონდის მიერ „მუზას“ წარმომადგენლები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი სპექტაკლის შინაარსსა და მიზანზე.

სპექტაკლამდე ოთხი დღით ადრე, 15 ივნისს, მოპასუხე ორგანიზაციის დირექტორმა დავით გეგელაშვილმა ფონდის წარმომადგენელს შეატყობინა, რომ 19 ივნისს „მუზაში“ სპექტაკლის გამართვას ვერ შეძლებდნენ. მისი თქმით, ***აშფოთებდა ის, რომ შენობის დაარბევდნენ, რადგან მას დაურეკეს გარკვეულმა ადამიანებმა და ურჩიეს გაეუქმებინათ წარმოდგენა. შესაბამისად, ის ვერ დაუშვებდა შენობის დარბევას.*** კომპანიის დირექტორმა გადახდილი 1500 ლარი დააბრუნა ფონდის ანგარიშზე და ასევე გააგზავნა 15 ივნისით დათარიღებული წერილი, რომლითაც ხელშეკრულების მოშლის მიზეზად დაასახელა ***სასწრაფო და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები, რომელთა გამოც შეუძლებელი იყო 19 ივნისს ცენტრში რაიმე ღონისძიების ჩატარება.***

განმცხადებელი მიუთითებს, რომ წყალმომარაგების კომპანიის ვებ-გვერდზე გადაამოწმეს 2019 წლის 14-15 ივნისის გადაუდებელი სამუშაოების გრაფიკი, რომელშიც შპს „მუზას“ მისამართი მითითებული არ იყო.

შპს „მუზას“ 2019 წლის 26 სექტემბრის წერილის თანახმად, საქართველოს მთავრობის N 370-1 დადგენილების (ტექნიკური რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ) შესაბამისად, ცენტრში მიმდინარეობდა და ამ დრომდე გრძელდება შესაბამისი სამუშაოები. 14 ივნისს, დღის მეორე ნახევარში, სახანძრო უსაფრთხოების წყლის სიტემის ტესტირება ჩაატარეს, რამაც გამოიწვია მილებში წყლის გაჟონვა. შედეგად, დაიტბორა საკონცერტო დარბაზის სცენა, პირველი რიგი და სავარძლები. შეიქმნა საშიშროება, რომ წყალი დააზიანებდა ელექტროგაყვანილობას, გამოიწვევდა მოკლე ჩართვას და აალებას. ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენდა ფორს-მაჟორული მდგომაროებას, შეუძლებელი გახდა საკონცერტო დარბაზში რაიმე ღონისძიების ჩატარება. წერილის თანახმად, სარემონტო სამუშაოები ჩატარდა კომპანიის შიდა ძალებით და შედეგების ლიკვიდაციას 5 დღე დასჭირდა.

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის და სივრცის დათვალიერების მიზნით, სახალხო დამცველის წარმომადგენელი იმყოფებოდა შპს „მუზაში“. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სარდაფში მილები არის დაზიანებული, ზოგიერთი კი შეკეთებულია (გადაბმული). მილების უმრავლესობა არის დაჟანგული და წყლის გაჟონვის კვალი შემორჩენილია სცენის ჭერზე, დარბაზის ჭერსა და კედლებზე. დარბაზის წინ, შესასვლელის კედლების საფარი რამდენიმე ადგილას დახეთქილია.

შპს „მუზაში“ დასაქმებული პირის შ. მ.-ს განმარტებით, მათ ორგანიზაციას მოსთხოვეს სახანძრო სიტემის გაკეთება, რის გამოც შიდა პერსონალმა გადაწყვიტა მილების შემოწმება. მისი განმარტებით, სარდაფში დამონტაჟებულია *წნევიანი ბაკები*, რომელიც რთულად მუშაობს წყალგაყვანილობის ძველ სისტემაზე. ამის გამო, თუ წნევა მაღალია, ძველი მილები ვერ უძლებს დატვირთვას და სკდება. ერთი-ერთი სატესტო რეჟიმის დროს, მილებმა ვერ გაუძლო წნევას და რამდენიმე ადგილას გასკდა. შედეგად, დაიტბორა სცენა და დაზიანდა კედლები. ფინანსური პრობლემების გამო ვერ მოხერხდა მილების გამოცვლა (*ხამუთები გაუკეთდა*) და დარბაზის გარემონტება, რომელსაც ეტყობა დაზიანების კვალი. დატბორვისას რამდენიმე დღით მოიშველიეს გარეშე პერსონალი, თუმცა, მილების პრობლემას ძირითადად კომპანიის შიდა პერსონალის ძალებით გაუმკლავდნენ. გამოკითხულმა პირმა განაცხადა, რომ პრობლემის აღმოფხვრას ერთი კვირა დასჭირდა, შემდეგ ხელახლა გაუშვეს წყალი, თუმცა, წყალმა კიდევ რამდენჯერმე სხვა ადგილებში გაჟონა. მისი განმარტებით, აღნიშნულს იწვევს ის, რომ მილებია დაჟანგულია. შ. მ.-მ ასევე აღნიშნა, რომ ამ მხრივ, ამჟამადაც მძიმე ვითარებაა და რომ მილის გასკდომის საფრთხე კვლავ არსებობს.

<u>შპს „მუზას“ სივრცეში ღონისძიების ჩატარების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით, ალტერნატიული თარიღი შპს „მუზას“ მეორე განმცხადებლისათვის არ შეუთავაზებია.</u>

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.[8]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ***საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ,*** არ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და იგი ***დასახული მიზნის არათანაზომიერია.***

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II,1;

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,*** ე. ი. ***არ ისახავს კანონიერ მიზანს*** და არ არსებობს ***პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.***[9]

2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პიროვნების მოქმედების ზოგად თავისუფლებას.[10] პირის ნებისმიერი მოქმედება და საქმიანობა, რომელიც არ მიეკუთვნება მისი პირადი ცხოვრების სფეროს და არ ხვდება ზოგადი პიროვნული უფლებით დაცულ სფეროში, დაცულია საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით, რომელიც ერთნაირად იცავს აქტიურ და პასიურ მოქალაქეებს. ის არის ყოველი ადამიანის კერძო ინიციატივისა და საქმიანობის წამოწყების საფუძველი.[11] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

მოცემულ შემთხვევაში, პირველ განმცხადებელს ლექციის ჩასატარებლად ფართი ესაჭიროებოდა მისი საქმიანობიდან გამომდინარე. მოპასუხე ორგანიზაციები კი წარმოადგენს საჯარო სივრცეს, რომელიც, დადგენილი წესით, იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა ღონისძიებები ჩატარდეს. ღონისძიების ჩატარების შესაძლებლობა მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, მათ შორის განმცხადებლის ორგანიზაციისადმი, შესაბამისად, თანასწორობის თვალსაზრისით, ამ პროცესში, მოპასუხე ორგანიზაციებს გარკვეული ვალდებულებებიც აკისრიათ.

---

[9] ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom,* nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, §60;

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536, II, 55;

[11] კ. კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2017, გვ. 89-90;

პირველმა განმცხადებელმა ბსუ-ს, ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი წერილით, სთხოვა საუნივერსიტეტო სივრცეში ფართის გამოყოფა ლექციის ჩასატარებლად. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, გ. ს.-მ, განმცხადებელს სოციალური ქსელის საშუალებით აცნობა, რომ ლექცია ჩატარდებოდა 21-ე აუდიტორიაში.[12] რაც შეეხება ბათუმის ბიბლიოთეკას, ფართის გამოყოფის თაობაზე შეთანხმება ზეპირსიტყვიერად მოხდა, მას შემდეგ, რაც განმცხადებელს ბსუ-მ უარი უთხრა ფართის დათმობაზე. მოგვიანებით კი ბათუმის ბიბლიოთეკამ, ბსუ-ს მსგავსად, განმცხადებელს უარი უთხრა ლექციის ჩატარებაზე.

მეორე განმცხადებლის შემთხვევაში კი მხარეებს შორის 2019 წლის 15 მაისს გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება, 4 ივნისს კი შპს „მუზას“ საბანკო ანგარიშზე გადარიცხა ქირავნობის თანხის ნაწილი - 1500 ლარი. ხელშეკრულების დადებისას, ფონდის მიერ, შპს „მუზას“ წარმომადგენლები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი სპექტაკლის შინაარსსა და მიზანზე. სპექტაკლამდე ოთხი დღით ადრე მოპასუხე ორგანიზაციის დირექტორმა დავით გეგელაშვილმა ფონდის წარმომადგენელს შეატყობინა, რომ 19 ივნისს „მუზაში“ სპექტაკლის გამართვას ვერ შეძლებდნენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განმცხადებლებისათვის ლექციის ჩატარებისათვის და სპექტაკლის გამართვისათვის საჭირო ფართის გამოყოფაზე უარით, მოხდა კონსტიტუციის 12-ე მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა.

2.3. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.[13]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.[14] ამასთან, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.[15] სასამართლოს განმარტებით,

---

[12] ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, სტუდენტთა კარიერული განვითარების და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის გ. ს.-ს 2019 წლის 12 ივნისის სამსახურეობრივი ბარათი;

[13]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება #2/1/473, II, 1;

[14]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II, 19;

[15] ECtHR, *D.H. and Others v. the Czech Republic [GC]*, no. 57325/00, 13/11/2007, § 175;

დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელია, განსხვავებული მოპყრობა ხდებოდეს რომელიმე მახასიათებლის ან სტატუსის გამო.[16]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლები, სხვა ორგანიზაციებთან თუ პირებთან შედარებით, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენეს მათი ორგანიზაციიების საქმიანობის სფეროს, კერძოდ, ლგბტ+ ადამიანების უფლებებთან დაკავშირებული საქმიანობის გამო.

2.4. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.[17]

განსახილველ შემთხვევაში, სამივე მოპასუხე მხარე, განმცხადებლებისთვის საჯარო ლექციის ჩატარებაზე უარის მიზეზად ასახელებს მათ შენობებში ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოებს. აღსანიშნავია, რომ ბსუ-ს შემთხვევაში, ელექტროენერგიასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემა, ბათუმის ბიბლიოთეკის შემთხვევაში დაგეგმილი კედლისა და ფანჯრის დემონტაჟი, ხოლო შპს „მუზას" შემთხვევაში წყალგაყვანილობასთან დაკავშირებული პრობლემა, ობიექტურ გარემოებას წარმოადგენს და საჯარო ლექციის ჩატარებაზე უარის ლეგიტიმურ მიზნად შეიძლება იყოს მიჩნეული.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოპასუხე ორგანიზაციების მიერ დაფიქსირებული ლექციის ჩატარებაზე და სპექტაკლის გამართვაზე უარის თქმის მიზეზი ლეგიტიმური არის, ვინაიდან ნამდვილად არსებობდა სარემონტო სამუშაოს ჩატარების საჭიროება იმ ოთახებში, რომელიც, მოპასუხე მხარეებს განმცხადებლისთვის ჰქონდათ გამოყოფილი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, **ლეგიტიმური მიზნის არსებობის პირობებში, სახალხო დამცველი შეაფასებს, იყო თუ არა მოპასუხე ორგანიზაციების მიერ გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის მიღწევის სათანადო, აუცილებელი და თანაზომიერი საშუალება.** საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების და ინტერესების უზრუნველყოფა.[18]

---

[16] ECtHR, *Guberina v. Croatia,* no. 23682/13, 12/09/2016, § 68; *Eweida and Others v. the United Kingdom,* no. 48420/10, 15/01/2013, § 86;

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15;

[18] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, II, 23;

პირველ შემთხვევაში, განმცხადებელსა და მოპასუხე ორგანიზაციებს შორის მიღწეული იყო შეთანხმება, რომლის დაცვის ვალდებულებაც ეკისრებოდა ორივე მოპასუხეს. შესაძლებელია, ფართის გამოყოფის/დაჯავშნის თაობაზე მოლაპარაკება და შეთანხმება მართლაც მოპასუხე ორგანიზაციების მიერ დადგენილი ფორმალური წინაპირობის დაუცველად იყო წარმართული, თუმცა, სახალხო დამცველის მოსაზრებით, აღნიშნული საკითხი, ამ შემთხვევაში, ნაკლებად მნიშვნელოვანია. ამასთან, ლექციის ჩატარებაზე უარის თქმის მიზეზი, ორივე შემთხვევაში, გახდა ბსუ-სა და ბიბლიოთეკაში მიმდინარე გარკვეული ტექნიკური/სარემონტო სამუშაოები და არა ფორმალურობის დაუცველად ფართის დაჯავშნა. მეორე შემთხვევაში კი, მხარეებს შორის დადებული იყო ხელშეკრულება და შპს „მუზას" საბანკო ანგარიშზე გადარიცხული იყო ქირავნობის თანხის ნაწილი - 1500 ლარი.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ბსუ-ს, ბათუმის ბიბლიოთეკისა და შპს „მუზას" მიერ სივრცის დათმობაზე უარი, შესაძლოა, ეფუძნებოდა ობიექტურად შექმნილ გარემოებებს, თუმცა, <u>მოპასუხეების მზაობა, განმცხადებლებისთვის ალტერნატიული გამოსავალი შეეთავაზებინათ, არ არსებობდა.</u> ამასთან, სახალხო დამცველი აქცენტს აკეთებს სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა" და ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის", როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულებებზე, ხელი შეუწყონ თანასწორობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და შემწყნარებლობაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ ბსუ-ს აუდიტორიაში ელექტროენერგიასთან დაკავშირებული უმნიშვნელო ხარვეზი არსებობდა, რომელიც ობიექტურად, მოპასუხე მხარის სურვილის შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ ლექციის ჩატარების ხელისშემშლელი გარემოება და, შესაბამისად, სივრცის დათმობაზე უარის მიზეზი არ ყოფილიყო. გარდა ამისა, აღნიშნული საკითხი წესების დაცვით იყო შეთანხმებული, შესაბამისად, ბსუ-ს ეკისრებოდა ვალდებულება, დამატებითი სირთულეების გარეშე, საკუთარი ინიციატივით, მოეძიებინა განმცხადებლისთვის უნივერსიტეტში ალტერნატიული ოთახი.

შპს „მუზას" შემთხვევაში კი, მოპასუხე მიუთითებდა, რომ დაზიანება არ იყო მცირე მასშტაბის და საჭიროებდა პროფესიონალების ჩარევას, რაც მეორე განმცხადებელმა ეჭვქვეშ დააყენა და აღნიშნა, რომ საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის ვებ-გვერდზე გადაამოწმეს 2019 წლის 14-15 ივნისის გადაუდებელი სამუშაოების გრაფიკი, რომელშიც შპს „მუზას" მისამართი მითითებული არ იყო. შპს „მუზამ" განმარტა, რომ სარემონტო სამუშაოები ჩატარდა კომპანიის შიდა ძალებით და შედეგების ლიკვიდაციას 5 დღე დასჭირდა. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დაზიანების სიმძიმის გათვალისწინებითაც კი, დაზიანების აღმოფხვრის შემდეგ, მოპასუხეს ალტერნატიული თარიღი უნდა შეეთავაზებინათ მეორე განმცხადებლისთვის, რაც ლოგიკურიც იქნებოდა, იმისათვის, რომ ორგანიზაციას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეესრულებინა.

სახალხო დამცველი, განსაკუთრებულად უსვამს ხაზს საკითხის აქტუალობასა და აღნიშნული განცხადებებით მომართვისას არსებულ კონტექსტს - სექსუალური ორიენტაციისა და

გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია, საქართველოში კვლავ ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. ქვეყანაში არსებული ჰომოფობიური დამოკიდებულებები ხშირად ხდება ლგბტ+ თემის წარმომადგენლების სხვადასხვა უფლების დისკრიმინაციულად შეზღუდვის საფუძველი. თემის წევრების თანასწორუფლებიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის არც ერთ სფეროშია სათანადოდ დაცული. განსაკუთრებით კრიტიკულია მდგომარეობა ლგბტ+ თემის წევრების მიერ გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის შეფასებით, სამწუხაროდ, ამ მხრივ, ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა წლიდან წლამდე არ უმჯობესდება. 2018 წლის სექტემბრის თვიდან 2019 წლის ზაფხულის პერიოდის ჩათვლით განვითარებულმა, მათ შორის, „თბილისი პრაიდის“ გამართვასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა, კიდევ ერთხელ დაადასტურა ლგბტ+ თემის მძიმე უფლებრივი მდგომარეობა.

ზემოაღნიშნული კონტექსტის ფონზე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ <u>მოპასუხე ორგანიზაციები სათანადო ყურადღებით არ მოეკიდნენ განმცხადებლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარების საკითხს და არ შეეცადნენ, ხელი შეეწყოთ განმცხადებლებისათვის, რომ ლექციის ჩატარება/სპექტაკლის გამართვა არ ჩაშლილიყო.</u> სამწუხაროდ, „თბილისი პრაიდის“ გამართვასთან დაკავშირებული მოვლენების ირგვლივ საზოგადოებაში შექმნილმა უარყოფითმა და მტრულმა დამოკიდებულებამ, არსებითად გადამწყვეტი როლი შეასრულა, რომ მოპასუხეებს თავი აერიდებინათ, იმავე პერიოდში, მათ სივრცეში, ლგბტ+ საკითხებზე საუბრისაგან. შესაბამისად, მათ <u>დისკრიმინაციული მოტივით, ფორმალურ არგუმენტებზე დაყრდნობით, განმცხადებლებს უარი უთხრეს ღონისძიებების ჩატარებაზე.</u>

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ <u>ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალება - ორ შემთხვევაში ლექციის ჩატარებაზე და ერთ შემთხვევაში სპექტაკლის გამართავაზე უარის თქმა, არ იყო აუცილებელი საშუალება, ვინაიდან ბსუ-ში და ბათუმის ბიბლიოთეკაში არსებობდა ალტერნატიული ფართი, ხოლო შპს „მუზაში“ შესაძლებლელი იყო ალტერნატიული თარიღის შერჩევა, რომლის შეთავაზებითაც განმცხადებლების უფლებაში ჩარევა ნაკლები ინტენსივობით მოხდებოდა და მათ დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა მიეცემოდათ.</u>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ **სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა“ და ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ“ (ა)აიპ „იდენტობას“ მიმართ, ხოლო შპს „მუზამ“ ააიპ „თბილისი პრაიდის“ მიმართ,** ჩაიდინეს პირდაპირი დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და საქმიანობის სფეროს ნიშნით.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა“, ა(ა)იპ „აკაკი

წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას“ და შპს „მუზას“ მიმართავს რეკომენდაციით, რომ:

- შეიმუშავონ დისკრიმინაციის აკრძალვისა და პრევენციის პოლიტიკის შიდა დოკუმენტი;
- მომავალი საქმიანობა წარმართონ თანასწორობის პრინციპის დაცვით; ხელი შეუწყონ ლგბტ+ თემისა და სხვა დაუცველი ჯგუფების მიმართ შემწყნარებლური გარემოს ჩამოყალიბებას.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,